2014წ.

ქართული სამართლის ისტორია

მეორე შუალედურის კონსპექტი

ლექტორი: გიორგი დავითაშვილი

1.სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა საქართველოში ათაბაგობის ინსტიტუტის წარმოშობის საკითხზე. (ივ. ჯავახიშვილისა და ივ. სურგულაძის მოსაზრებები) (3 ქულა)

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ათაბაგობა საქართველოში შემთხვევით იყო შემოღებული და განსაკუთრებით ივანე მხარგძელის პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად იქნა დაწესებული. მისი მითითებით, როდესაც თამარ მეფემ ათაბაგობა შემოიღო, საქართველოში ლაშა მოსაყდრედ იჯდა, თანაც დედა ცოცხალი ჰყავდა და ამის გამო ახალ ათაბაგს, რასაკვირველია, არ შეეძლო ისეთი გავლენა მოეპოვებინა,როგორიც ათაბაგებს სელჩუკიანთა სამეფოსა და სპარსეთში ჰქონდათ. ივ. სურგულაძე კი საპირისპიროს ადასტურებს, რომ ათაბაგობა სელჩუკიანთა სამეფოში იყო გავრცელებული და იგი ტახტის მემკვიდრის მეურვედ ითვლებოდა. იგი ფიქრობდა. რომ ათაბაგს საქართველოშიც იგივე ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

2.ეშიკაღასბაშის სახელო გვიანფეოდალურ ქართლს-კახეთში (3 ქულა)

ეშიკაღასბაში გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვაზირის- მანდატურუხუცესის მონაცვლეა და XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩნდება. იგი ზოგჯერ სასამართლო განაჩენების აღმსრულებლის ფუნქციის მატარებელია. მას ექვემდებარება ქონების კონფისკაცია, განაჩენის სისრულეში მოყვანა, ყმების აყრა, მათი ჩაბარება მემამულისათვის, რაიმე დავალებით სხვა სახელმწიფოში წასვლა, ამა თუ იმ საქმის გამოძიება, მეჯლისის დროს იგი წესრიგს იცავდა. მის სახელოში ყოველგვარი საპოლიციო ფუნქცია შედის. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდნენ მსხვილი ფეოდალები.

3.სახლთუხუცესის ფუნქციები გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში (3 ქულა)

სახლთუხუცესს ჰქონდა როგორც სამეურნეო ხასიათის, ისე ადმინისტაციული ფუნქციები: მისი მონაწილეობით დგებოდა მამულის წყალობის წიგნი, გლეხის გაცემა, სახელოს ბოძება, ჯამაგირის საბუთი და სხვ. იგი მეფესთან ძალიან დაახლოებული პირი იყო, დიდი შემოსავალიც ჰქონდა და ამ მხრივ ვერცერთი მოხელე ვერ შეედრებოდა. სახლთუხუცესი ლაშქრობაშიც მონაწილეობდა, იგი განაგებდა სახელმწიფოს მთელ შემოსავალ-გასავალს.

4.გეორგიევსკის ტრაქტატის სეპარატიული მუხლები (3 ქულა)

გეორგიევსკის ტრაქტატს თან ერთვოდა 4 სეპარატიული მუხლი:

- რუსეთის იმპერატორი მეგობრულად ურჩევდა ერეკლეს, რომ კეთილი განწყობილება და მეგობრობა ჰქონოდა იმერეთის ბრწყინვალე მეფესთან სოლომონთან და თუ მათ შორის წარმოიშობოდა დავა, არბიტრად რუსეთის იმპერატორი გამოსულიყო.
- იმპერატორი ვალდებულებას ღებულობდა, რომ ქართლ-კახეთში ჰყოლოდა ფეხოსანი ორი და სრული ბატალიონი ოთხი ზარბაზნით.
- იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ქართულ ჯარს გამოიყენებდა საქართველოს საზღვრებს გარეთ, ჯარის შენახვის ხარჯები იმპერატორის ხაზინას უნდა გაეღო.
- რუსეთის იმპერატორი ვალდებულებას იღებდა იმის შემთხვევაში იარაღით დაეცვა ქართლ-კახეთი. დაზავების შემთხვევაში კი ეცდებოდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს დაბრუნებოდა მტრების მიერ მიტაცებული მიწები.

5. განსაკუთრებული ხასიათის მოხელეები გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში (მოკლედ დაახასიათეთ ეს თანამდებობები) (3 ქულა)

განსაკუთრებული ხასიათის მოხელენი იყვნენ:

- **ვეზირები** - „დასტურლამალიდან" ჩანს, რომ ვეზირი კონკრეტული პიროვნებაა, იგი მაღალი თანამდებობის პირია, სარედაც მეტყველებს მისთვის განკუთვნილი გადასახადი ანუ სარგო. ერეკლეს დროს ვეზირი ირანის წარმომადგენელია ერეკლე მეფოს კარზე და მის მრცჰევლად ითვლება, მას სამეფო საქმიანობის ყველა უბანზე მიუწვდება ხელი. იგი მეფის მოადგილედაც კი ითვლება. წყაროების ანალიზით ირკვევა, რომ წართლის სამეფოში ორი ვეზირი ყოფილა: 1. სამეფოს ვეზირი, 2. ქალაქის ვეზირი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვეზირის სახელი გაუქმებული არ არის, მაგრამ აღარ „ბრწყინავს", იგი მნიშვნელობას კარგავს ეს კი გამოიწვია საოკუპაციო ხელისუპლების შესუსტებამ.
- **მუსტოფი** - უცხოური წარმოშობისაა და ქართლში საოკუპაციო ხელისუფალთა გავლენით დამკვიდრდა. მუსტოფი სპასული სიტყვაა და ნიშნავს მოანგარიშეს, რომელიც სამდივნოში მუშაუობს და ამტკიცებს დოკუმენტებს ბეჩდის დამით. იგი მეფესთან დაახლოებული პირი იყო, აკონტროლებდა მის შემოსავალ-გასავალს, აწარმოებდა ანგარიშს მეფის მეურნეობის ყველა დარგში, რათა ირანის მთავრობისთვის ეცნობინებინა ეს ყველაფერი.

6. დამნაშავის ასაკი, როგორც დანაშაულის სუბიექტის ნიშანი ძველქართულ სამართალში (3 ქულა)

10 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ დაიშვება, მათი მოქმედება გათანაბრებულია შემთხვევასთან ანუ „ფათერაკთან" და დაზარალებულს ეძლევა ქმედების ჩამდენის მშლობლებისაგან სამარხი ან დაჭრილს სააქიმო. 10 წლიდან წესდებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

7. კოლექტიური (იურიდიული პირის) პასუხისმგებლობის ინსტიტუტი ძველ ქართულ სამართალში (3 ქულა)

ჩვეულებრივ, იურიდიული პრაქტიკა სისხლის სამართლის სუბიექტად მიიჩნევდა როგორც ფიზიკურ პირებს, ისე გაერთიანებებს, ქალაქებს, თემებს - დღევანდელი ტერმინოლოგიით - იურიდიულ პირებს. ვახტანგ VI - ის სამართლის წიგნის ზოგიერთ მუხლში შემონახულია სისხლის სამართლის კოლექტიური პასუხისმგებლობის მაჩვენებელი მაგალითები. ასეთებია ოჯახის წევრთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ოჯახის უფროსის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. აქვე მითითებულია მკვლელი (გლეხი) თავის ცოლ-შვილით გადაეცემა დაზარალებულს - უფროს კაცს.

8. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით (ჩამოთვალეთ ნებისმიერი ხუთი 42-ე მუხლის მიხედვით) (3 ქულა)

1) ომის დროს მტრის მოკვლა; 2) თუ მკვლელობა ჩადენილია განზრახვის გარეშე, მაგრამ თუ დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ადრე ქიშპი და მტრობა იყო და ნათესავი წაუყენებს მკვლელს განზრახ დანაშაულის ბრალდებას, უკანასკნელმა უნდა იმართლოს თავი ან სისხლი უნდა გადაიხადოს; 3) ქმარს უფლება აქვს მოკლას მოღალატე ცოლი; 4) ქურდის მკვლელობა; 5) ყმას აქვს იფლება მოკლას თავისი ბატონი, თუ მან შელახა მისი ოჯახის ცოლქმრული სიწმინდე.

9.ბრალეულობის დამამძიმებელი გარემოებები ძველქართულ სამართალში (ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ თითოეული) (3 ქულა)

1) მეორედ ჩადენილი დანაშაული. იგი უფრო მკაცრად ისჯებოდა როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართლით. 2) თუ დამნაშავე ცოდვისმოყვარე იყო ან უკრძალველობასა და თავხედ კადნიერებას ამჟღავნებდა. 3) მახლობელი ნათესავისადმი ჩადენილი დანაშაული, მკვლელობა დაჭრა, მცორეწლოვანთა გახრწნა. 4) თანამდებობის პირთა მოურიდებლობა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე სხვა რიგითი მოქალაქეებისა. 5) დანაშაულის ჩადენა ე.წ. „საპატიჟო აგილებზე“. ამ შემთხვევაში საპატიჟო ადგილად ნაგულისხმევია დიდი სალარო ან ეკლესია. ასევე დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა საკრძალავ ადგილთა შეხება და დაშავება, რასაც შეიძლებოდა ადამიანის დაზიანება ან სიკვდილი მოჰყოლოდა. საკრძალავ ადგილად ნაგულისხმევია ადამიანის სხული.

10.რა მაგალითები მოჰყავს ექვთიმე მთაწმინდელს უნებლიე ბრალის საილუსტრაციოდ (3 ქულა)

მაგალითად,ადამიანს სურდა ხის ნაყოპი ჩამოეყარა, ან ძაღლი გაეგდო და ამისათვის ესროლა ქვა ან ჯოხი, რომელიც შემთვხვევით მოხვდა კაცს და მოკლა. ამ შემთხვევაში ჩამდენი პასუხს არ აგებს. ექვთიმეს მოჰყავს უნებლიე კაცის კვლის სხვა შემთვხვევაც: მასწავლებელი ასწავლის მოწაფეს, ხელისანი წვრთნის შეგირდს, ბატონი წვრთნის ყმას, მონას ან მსახურს ჯოხით ან შოლტით. მწვრთნელს შემოაკვდა ბავშვი, მისი განზრახვა არ იყო სიკვდილი, არამედ სწავლა,მაგრამ ამ განზრახვას მოჰყვა სიკვდილი. ასეთი მოქმედება ექვთიმეს აზრით არის უნებლიე და ამ შემთხვევაშიც არ ისჯებოდა დამნაშავე.

11.რა მაგალითები მოჰყავს ექვთიმე მთაწმინდელს ნებსითი ბრალის საილუსტრაციოდ? (3 ქულა)

როცა მკვლელი არის ავაზაკი, ბრძოლით მიდის უდანაშაულო ადამიანზე, რათა გაძარცვოს იგი, ევთიმეს აზრით, სრულიად ნათლად ჩანს, რომ ეს განზრახი მოქმედებაა. თუ ვინმე ვინმეს მოწამლავს, მისი აზრით, ესეც ნებსითი დანაშაულია. ჩხუბის ან შფოთის დროს მოჩხუბარი აღელდა, ჯოხი ან ხელი ისე ძლიერად, ან ისეთ ადგილზე დაარტყა, რომ მოწინააღმდეგე მოკვდა. აქ, ექვთიმეს აზრით, დამნაშავემ მაინც უნდა აგოს პასუხი მკვლელობისათვის, რადგან ადგილი ჰქონდაგანზრახვის მსგავს მოქმედებასთან.

12.რა მაგალითებია მიყვანილი ფათერაკის საილუსტრაციოდ ვახტანგის სამართლის წიგნში? (3 ქულა)

თუ კაცს კაცი შემოაკვდა ფათერაკით ანუ ისე, რომ არ უნდოდა ცხენით თუ იარაღით, ან თუ ნადირს თოფი ესროლოს და კაცს მოხვდეს, ან თამაშში აწყინოს რამე. მცირეწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულიც გათანაბრებულია ფათერაკთან. 188-ე მუხლში საუბარია პირუტყვის მიერ სხვისი ნათესებისა თუ ყანის გაფუჭებისათვის ამ პირუტყვის პატრონის ქონებრივ პასუხისმგებლობაზე. კანონმდებლის აზრით, თუ მოპასუხე ვერ დაამტკიცებს, რომ მისმა პირუტყვმა მოპასუხის სურვილით გააფიღა ყანა, წანახედითვის პასუხი უნდა აგოს „საფათერაკოს“ წესით.

13.გაუფრთხილებლობა ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით (3 ქულა)

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 183-ე მუხლში საუბარია ნადირობაში მკვლელობაზე და ის მიჩნეულია როგორც გაუფრთხილებლობით მკვლელობა.მაგალითად:თუ მხეცთა ბუნაგში ერთი მესახუნდრის ნასროლი მეორე მესახუნდრეს მოხვდა.თუ ფათერაკით მოუვიდა,სხვა არის,მაგრამ თუ ამ ამბის მომსწრე იტყვის,რომ მათ ადრე ქიშპი ჰქონდათ და ამიტომ ესროლაო,ეს უკვე მოსამართლემ უნდა გადაწვიტოს.თუ აღმოჩნდება,რომ მათ იქამდე ქიშპი და მტრობა ჰქონდათ,მაშინ მან უნდა დაიფიცოს,რომ განზრახ არ ჩაუდენია.თუ არ დაიფიცებს მაშინ

სისხლით უნდა გადაიხადოს.194-ე მუხლი ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით ჩადენილ მკვლელობას ხუმრობასა და თამაშობაში.მაგალითად,თუ ხუმრობასა და თამაშობაში კაცმა კაცს რამე ატკინოს,ან მოტეხოს,ან დაჭრას,მაშინ მან საექიმო ხარჯები უნდა გადაუხადოს და თუ ის მოკვდება ჭრილობის გამო,მაშინ სამარხი უნდა მისცეს.195-ე და 256-ე მუხლებში გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზეა საუბარი.მაგალითად,თუ კაცს ორმო დარჩეს ამოუვსები და შიგ ან ადამიანი ან პირუტყვი ჩავარდეს,თუ რამე მოუვა მის საზღაურს მოსამართლე გადაწყვეტს.

14.მეფის საკანონმდებლო, მართლმსაჯულებისა და სამხედრო ფუნქციები გაერთიანებულ საქართველოში (5 ქულა)

საქართველოს მეფეს ჰქონდა საკანონმდებლო ფუნქცია, მაგრამ იგი არ გულისხმობდა ერთპიროვნულად კანონების მიღების უფლებამოსილებას, არამედ დარბაზის ერთა თანამშრომლობითა და განჩინებით. მეფე სოგიერთ განაჩენს, ბრძანებას თუ განჩინებას, რომლებსაც კანონის ძალა ჰქონდა - ერთპიროვნულად ღებულობდა, ხოლო კანონს ანუ სამართლის წიგნს მხოლოდ თვითონ კი არ ადგენდა და მარტო თავისი სახელთ არ გამოსცემდა, არამედ გარბაზისა და საკანონმდებლო კარის თანადგომით. საქართველოს მეფოს ფუნქციაში შედიოდა ასევე მართლსმსაჯულების ფუნქცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეფე ყოველგვარი წვრილმანი საქმეებისათვის მოცდებოდა. იგი განიხილავდა მეტად რთულ და მნიშვნელოვან საქმეებს. მეფე იყო უზენაესი მსაჯული, მაგრამ არც აქ იხილავდა იგი საქმეებს ერთპიროვნულად, არამედ დარბაზის წევრთა ანუ სპეციალისტთა თანადგომით, მაგრამ განაჩენი ან გადაწვეტილება მეფის სახელით გამოდიოდა. საქართველოს მეფის ძირითადი ფუნქცია სამხედრო ფუნქცია იყო. მეფე გვევლინება სახელმწიფო ჯარის პატრონად და მთავარ წინამძღოლად. უმეტეს შემთხვევაში, მეფე თვითონ მონაწილეობდა ომში და მეთაურობდა ჯარს. მეფის საზრუნავი იყო ასევე „ლაშქართა მეცადინეობაბი“ ანუ ჯარის წვრთნა, „მხედართაგან წესებანი“ ანუ სამხედრო თანამდებობაზე დანიშვნა, „სპათა საწყობანი და ღონენი“ ანუ ჯარის მეგროვება და ბრძოლისუნარიანობა.

15.მეფის საფინანსო, საგამგეო და საგარეო ფუნქციები გაერთიანებულ საქართველოში (5 ქულა)

საქართველოს მეფის კონპეტენციაში შედიოდა საფინანსო საქმის ხელმძღვანელობა. მეფეზე ოყო დამოკიდებული სახელმწიფო გადასახადისა და ბეგარისაგან გათავისუფლება. მეფეს შეეძლო გაეცა წყალობის სიგელები მამულის საბოძებლად თუ გადასახადისაგან გასათავისუფლებლად. მაგრამ მეფის წყალობის სიგელებს მხოლოდ მის სიცოცლეში ჰქონდა ძალა. საქართველოს მეფის საგამგეო ფუნქციათაგან მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს შინაური საქმეების გაძღოლა-მოწესრიგების ფუნქცია. მათ შორის ქვეყნის საზღვრების დაცვა ანუ ქვეყნის ტერიტორიული ხელყოფის აღკვეთა, ქვეყნის შიგნით მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვა. მეფის ფუნქციას წარმოადგენდა ასევე საგარეო ურთიერთობათა მოწესრიგების ფუნქცია. მეფის საზრუნავი იყო მეზობელი თუ შორეული ქვეყნებიდან მოლაპარაკები გამართვა, მოციქულებისა და ძღვენის გაგზავნა.

16.დარბაზი და სავაზირო დაერთიანებულ საქართველოში (5 ქულა)

საქართველოს უმაღლეს სახელმწიფოში ორგანოთა შორის დარბაზს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. დარბაზი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო. ბაგრატ IV-ს “ოპიზის სიგელის“ მიხედვით, დარბაზის შემადგენლობაში შედიან: უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, ერითავთერისთავნი და ერისთავნი და ყველა ხეობის სასამართლო საქმის მცოდნე აზნაურები. მაგრამ თუ როგორი იყო დარბაზის სრული შემადგენლობა, ამის დადგენა ძნელია წყაროების უქნოლობის გამო. დარბაზობა ორი წესით იმართებოდა: დიდი და მცირე წესით. დიდი წესით ანუ დიდი დარბაზობა- დარბაზის ღია სხდომა იყო, რომელსაც დარბაზის ნამდვილ წევრთა გარდა, სხვა მოხელეებიც ესწრებოდნენ. დარბაზობა მცირე წესით - დარბაზის საქმიანი სხდომა იყო, რომელსაც დარბაზის მხოლოდ ნამდვილი წევრები ესწრებოდნენ. დარბაზის კონპეტენციაში შედიოდა:

- კანონმდებლობის მიღება
- უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელება
- ომის გამოცხადებისა თუ ზავის დადების სახითხები
- მაღალი თანამდებობის პირების არჩევა-დანიშვნის საკითხები
- მეზობელი და შორეული ქვეყნებიდან მოსულ სტუმართა თუ დესპან-მოციქულთა მიღების საკითხი
- დარბაზობა დიდი დღესასწაულების, მეფეთა ხელასხმისა თუ გამარჯვებული ლაშქრის დასახვედრად.
- დარბაზის სხდომის მოწყობისა და ჩატარების მტკიცედ შემუშავებული წესი არსებობდა. მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაცული დარბაზში დგომისა და ჯდომის წესები. თვით დარბაზის წევრი ვაზირები სპეციალურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობაზილნი და ოქროთი მოჭედილ სკამებზე ისხდნენ. დარბაზის ყველა წევრს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი და ისი გამოცვლა არ შეიძლებოდა, რადგან ადგილები უფროს-უმცროსობით ნაწილდებოდა.

სავაზირო სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო იყო, რომელშიც შედიოდნენ ვაზირები ანუ მინისტრები. სავაზირო იყო ვაზირთა საბჭო და ამ საბჭოში შემავალი თითოეული ვაზირი ცალკე უწყებას ხელმძღვანელობდა. სავაზირო ექვსი ვაზირისაგან შედგება:

- მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი (იგი ითვლება პირველ ვაზირად.)

დანარჩენი ხუთი ვაზირი იყოფა ორ ჯგუფად: „სამთა ვაზირთა“ და „ორთა ვაზირთა“ ჯგუფად. სამთა ვაზირთა ჯგუფში შედიოდნენ:

- ათაბაგი
- ამირსპასალარი
- მანდატურთუხუცესი
- ორთა ვაზირთა ჯგუფში:
- მეჭურჭლეთუხუცესი
- მსახურთუხუცესი.

17.მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი და ათაბაგი გაერთიანებულ საქართველოში (5 ქულა)

დავით აღმაშენებლამდე მწიგნობართუხუცესის თანამდებობდა და ჭყონდიდელის ეპისკოპოსობა ცალ-ცალკე არსებობდა. ამ ორი თანამდებობის შეერთება პირველად სწორედ დავით აღმაშენებლის დროს და მისივე ბრძანებით უნდა მომხდარიყო. მან ამით ეკლესია დაიმორჩილა. მწიგნობართუხუცეი-ჭყონდიდელი ვაზირებს შორის პირველია ანუ მწიგნობრების უფროსია. მწიგნობარი მდივანს, მწერალს ნიშნავს. მწიგნობარი ადგენდა საქმიან ქაღალდებს, ხელმძღვანელობდა დაწესებულების საანგარიშო განყოფილებას. მწიგნობართუხუცესის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი საქმე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მეფის ნების გარეშე მოქმედებდა, მწიგნობართუხუცესი მონაწილეობას იღებდა სამხედრო საქმეებშიც, იგი ნეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყებისა თუ არდაწყების საკითხებს. იგი სახელმწიფოში მეფის შემდეგ პირველი კაცია, მაგრამ სპეციალურად რომელიმე დარგი მას არ ეხება სამართავად. მწიგნობართუხუცესს-ჭყონდიდესლ როგორც საეკლესიო მოხელეს სასულიერო საქმეები ექვემდებარებოდა.

ათაბაგი სამთა ვაზირთა ჯგუფში შედის ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცესთან ერთად. ათაბაგობა ქართული სამოხელეო დაწესებულება არ ყოფილა 1212 წლამდე. იგი აღმოსავლური თანამდებობაა. აღმოსავლეთის ქვეყნებში ათაბაგი უფლისწულის გამზრდელის ფუნქციას ასრულებდა. ათაბაგი დიდი და საპატიო ვაზირია. ვაზირობის დროს იგი ჭყონდიდელის ქვემოთ, ამირსპასალართან ერთადაა. აქედან ჩანს, რომ მას ვერ მიუღწევია პირველი ვაზირობისთვის, იგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის შემდეგ იხსენიება, მაგრამ სხვა მოხელეებზე უფრო მეტად დაწინაურებულია, თვით ამირსპასალარსაც კი გაუსწრო.

18.ამირსპასალარი (5 ქულა)

ამირსპასალარი სამხედრო უწყების ხელმძღვანელია. (სამხედრო მინისტრი) . როგორც ცნობილია, საქართველოს მეფე ომის დროს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ჯარს, მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც მეფე ომში არ იღებდა მონაწილეობას, ჯარის მთავარსარდლობა ამირსპასალარს ევალებოდა. მას ემორჩილებოდა მთელი ჯარი. ამირსპასალარის წვემდებარე ჯარი შედგებოდა:

- სამეფო სპა (საქართველოს ცალკეული კუთხეებიდან გამოყვანილი მოლაშქრენი)
- ყივჩაღთა ჯარი
- კავკასიის მთიელთა და სხვა ყმადნაფიც ქვეყნებიდან გამოყვანილი ჯარი
- მონა-სპა (მეფის პირად მცველი ჯარი)
- ამირსპასალარს ექვემდებარებოდნენ შემდეგი მოხელეები:
- ამირახორი - ამირსპასალარის მოადგილე. იგი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა დარბაზობის დროს. მის ფუნქცია იყო ცხენოსანი ლაშქრის ხელმძღვანელობა.
- მეაბჯრეთუხუცესის და ზარდახანის უფროსის ხელში იყო სამეფო აბჯარ-იარაღის საწყობი.
- აჩუხჩი - სამხედრო უწყების მსხვილი მოხელე და მეფის დაცვის უფროსი უნდა ყოფილიყო.
- ამირჩქარის შესახებ ზუსტი ცნობები არ გვაქვს.
- მერემეთუხუცესი - ჩაბარებული ჰქონია საგანგებო დაწესებულება - სარებო.

ამირსპასალარის გარეშე მეფე მიწას ვერ გასცემდა, ვერც დასახლებულსა და ვერც დაუსახლებელს.

19.მანდატურთუხუცესი (5 ქულა)

მანდატურთუხუცესი შედის საპატიო ვაზირთა სამეულში. პატივით უთანაბრდება ათაბაგსა და ამირსპასალარს. ისინი გვევლინებიან მეფის მცველის როლში, სავაზიროს სხდომის დროს ისინი წესრიგს იცავენ. ზოგჯერ ხელმძღვანელობდნენ და ზედამხედველობნენ მეფის ვენახების სამუშაუებს. ისინი საპატიო კაცის სამყოლებადაც გვევლინებიან შორეულ მგზავრობაში. ისინი ომში არ მონაწილეობენ და სამეფო კარზე რჩებიან წესრიგის დასაცავად. მანდატურები სამოხელეო ნიშანს - არგანს ატარებდნენ, თვითონ მანდატურთუხუცესები - ოქროს არგანს. მანდატურთუხუცესს ჰყავს მოადგილე - ამირეჯიბი. ამირეჯიბს მეფესთან შესვლა და მისი ნახვა ყოველთვის შეეძლო. მარ ემორჩილებიან მოხელეები:

- ეჯიბი (მეკარე, კარის კაცი)
- მესტუმრე (ევალებოდა მოციქულთა დახვედრა, მეძღვნეთა დასაჩუქრება, დაპურება)
- გამგეთუხუცესი მას უფლება არ ჰქონდა ვაზირობას დასწრებოდა. მას ჰყავდა ქვეშევრდომი მოხელეები: საგანმგეოს უფროსი, მეჯამეთუხუცესი და სარემოს ნაცვალი. მეჯამეთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა ნიგოზი, ზეთი, საწებელი, ტყემალი, კარავი, სპილენძის ჭურჭელი და ა.შ.

20.მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი (5 ქულა)

მეჭურჭლეთუხუცესი შედის ვაზირთა „ორთა ჯგუფში“ . იგი „მეჭურჭლეთა“ უფროსი და „საჭურჭლეს“ უზენაესი გამგე იყო. ყავდა მოადგილე და ეწოდებოდა ნაცვალი მეჭურჭლეთუხუცესისა. „საჭურჭლე“ ჭურჭლის საწყობს ნიშნავდა შემდგომში განძისა და სიმდიდრის ზოგადი მნიშვნელობა მიეცა. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში საჭურჭლე სახელმწიფო ხაზინას ერქვა, სადაც უნახებოდა ფული, ძვირფასი ჭურჭელი, თვალმარგალიტი და ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი. სალაროში ინახებოდა არაყოველდღიურად სახმარი ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი, არაყოველღიურას სახმარი ნივთები. სალარო მსახურთუხუცესს ექვემდებარებოდა. საჭურჭლეში მსახურობდნენ: 1. საჭურჭლის ნაცვალი; 2. მუშრიბი (მას ყველაფერი უნდა სცოდნოდა სასახლის ქონების შესახებ, ბაჟისა და სავაჭრო ფუნქცია ჰქონდა); 3. საჭურჭლის მუქიფი (იგივე მეძღვნე ანუ ძღვენთა გამგე); 4. მეჭურჭლენი.

მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც ფინანსთა მინისტრს ექვემდებარებოდა ასევე: ძველი ქალაქები, ვაჭარნი, ქალაქის ამირანი. მეჭურჭლეთუხუცესი ამავე დროს შეიძლებოდა მსხვილი მემამულეც ყოფილიყო.

მსახურტუხუცესს ექვემდებარებოდა სალარო , საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ციცხვთუხუცესი, მეთხილეთუხუცესი. მასვე ებარა მეფის პირადი მეურნეობა და სხვადასხვა „საფარეშონი". არსებობდა ორი სახის სალარო: უძრავი და მოძრავი. სალაროს სათავეში იდგა მოლარეთუხუცესი, ვისაც ყველა სალარო ექვემდებარებოდა. ფარეშთუხუცესის გამგებლობაში შედიოდა საფარეშო და ფარეშნი. მეხილეთუხუცესს ექვემდებარებოდა სახილე და მეხილეები. ციცხვთუხუცესი - ციცხვნი განაგებდნენ სასახლის ჭურჭელს, აბანოს გათბობას, სახლის დაგვას, შეშის დაჩეხვას და ა.შ

21.ქართლის მეფე და მისი უფლებამოსილება XVII-XVIII საუკუნეებში (5 ქულა)

გვიანფეოდალურ ქართლში სახელმწიფოს მეთაურს მეფე ეწოდებოდა, ისევე როგორც გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. მაგრადმ ზოგჯერ მეფეს ბატონის სახელითან მოიხსენიებენ, რაც მეფის ხელისუფლების დასუსტებიდან გამომდინარეობდა. ქართლის მეფე მხოლოდ თვითონ აგარ აწერდა ხელს სიგელებზე, მასთან ერთად ხელს აწერდნენ დედოფალი, ბატონიშვილები და სხვა მოხელეები. იგი აღარ ზრუნავდა სისხლის სამართლის სასჯელის სისტემაში მოყვანაზე და მომართავდა მხარეებს, რომ მათ საქმე მოგვიანებითდაემთავრებინათ. გვიანფეოდალური ქართლის მეფე ყველაზე უფრო მსხვივი მესაკუთრეა თავის სამეფოში. იგი განაგებს არამარტო თავის საკუთარ მამულებსა და ყმებს, არამედ მთელ სახელმწიფოსაც. მეფის ფუნქციებიდან ყურადღებას იპყრობს საკანონმდებლო ფუნქცია. კანონების შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობდნენ ასევე საეკლესიო და საერო მკხვილი ფეოდალები. მეფეს ჰქონდა უმაღლესი მმართველობის განხორციელების ფუნქცია. იგი გულისხმობდა: სამეფო კარის მართვას, სამხედრო გამგებლობას, საეკლესიო გამგებლობას, ფინანსების მოწესრიგებასა და ზულის გამოშვებას ანუ საფინანსო მმართველობას, საგარეო ურთერთობის მოწესრიგებას. მეფეს თავისი ინიციატივით შეეძლო მოეკიდა ხელი ამა თიმ საქმისათვის, უმეტეს შემთხვევაში კი მეფის მმართველობა გამოიხატებოდა სათანადო მოხელეთა დანიშვნასა და მათი საქმიანობის კონტროლში.

22.სახელმწიფო საბჭო გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში (5 ქულა)

სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი გვიანფეოდალური ქართლის სამეფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა. „დასტურლამალში" დარბაზის ანუ სახელმწიფო საბჭოს სხდომის ჩატარებას ეწოდება არა დარბაზობა, არამედ მეჯლისი. მეჯლისის სხდომაზე ადგენდნენ საქმიან საბუთებს ან სიგელებს, იხილავდნენ სამეფოს მმართველობის სხვადასხვა საკითხს. აქვე შეიძლებოდა განეხილათ კონკრეტული სასამართლო საქმე. მეჯლისს იწვევდა მეფე და თავჯდომარეობდა კიდევაც მას. იგი სხვადასხვა წესითა და განსხვავებული შემადგენლობით ტარდებოდა. მას რაიმე რეგლამენტი არ გააჩნდა. დარბაზში მოწვეულთა რაოდენობა და შემადგენლობა განპირობებული იყო ამ საკითხის მიხედვით, რაც უნდა გადაწყვეტილიყო მეჯლისზე. ქართლის მეფე დიდი და რთული საქმეების გადასაწყვეტად იწვევდა მსხვილ ფეოდალთა თუ საეკლესიო მოღვაწეთა ფართო წრეს, ხოლო ყოველდღიური მუშაობისთვის მეფეს ჰყავდა მცორე საბჭო.

23.მეფის სამდივნო გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში (5 ქულა)

სამდივნო, როგორც ასეთი, ცალკე დაწესებულებად არ არსებობდა. მას პირობითად ვხმარობთ და სამდოვნოში ვგულისხმობთ შემდეგ მოხელეებს: მდივანი, მწერალი, მირზა, მურდარი.

მდივანი ნიშნავს მწერალს, რომალიც ადგენ ანუ წერს საქმიან დოკუმენტებს. მდივნობა სპეციალურ მომზადებას თხოულობდა, მათ ენების ცოდნაც მოეთხოვებოდათ. მდივნები მმართველობის ყველა დარგს ემსახურებოდნენ, მმართველობის ამა თუ იმ დოკუმენტს მდივნის ხელში უნდა გაევლო. მდივნები არათუ

ადგენდნენ დოკუმენტებს, არამედ მონაწილეობდნენ ამა თუ იმ დოკუმენტის სისრულეში მოყვანაშიც. გვიანფეოდალურ ქართლის სამეფოში მდივნები ჰყოლია როგორც მეფეს, ისე დედოფალს.

მწერალი სამდივნოს მოხელეა, რომელიც მდივნის მსგავსად სხვადასხვა დოკუმენტებს წერდა. მწერლის ფუნქციები მდივნისაზე უფრო ვიწროა, იგი აწარმოებს ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს, როცა მდივანი არ არის ან როდესაც სპეციალურ დავალებას მისცემენ, ამა თუ იმ დოკუმენტის გასაფორმებლად.

მირზა თათრული მოსახელობისათვის განკუთვნილი მწერალი უნდა ყოფილიყო.

მურდარი ბეჭედის მცველს ანუ ბეჭედის შემნახველს ნიშნავდა. იგი სამეფო ბეჭედს დასვამდა სხვადასხვა საბუთებზე.

24.მეფის დაცვის ორგანიზაცია გვიანფეოდალურ ქართლ-კახეთში (5 ქულა)

ქართლის სამეფოსა და მის მეფეს სპეციალური დაცვა ფყოლია, რომელსაც სპეციალური თანამდებობის პირი ყულარაღასი ხელმძღვანელობდა.

ყულარაღასი - იგივე მეფის მცველთა რაზმების უფროსია. მეფის დაცვა შედგებოდა 120 კაცისაგან. თითოეულის მეთაურს უზბაში ეწოდებოდა. მეფის დაცვის ჯარი ფაქტობრივად სასახლის გვარდია იყო. თვით ყულარაღასი უშუალოდ იცავდა მეფეს. მას მეფის დაცვის გარდა სასამართლოს ფუნქციაც ჰქონდა.

ყორჩიბაში მხედარი გვამის მცველთა უფროსია. ყორჩიბაშს ექვემდებარებოდნენ ყორჩები, რომლებიც ყულებთან ერთად იცავენ სასახლესა და მეფესა. ისინი, ერთი მხრივ, სამხედრო მოსამსახურები იყვნენ, მეორე მხრივ, მეფეს იცავდნენ.

ქეშიჯჩიბაში სპარსული სიტყვაა და ნიშნავს გვამის მცველს.

25.გეორგიევსკის ტრაქტატი (5 ქულა)

გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო 1783 წელს და შედგებოდა 13 ძირითადი და 4 სეპარატიური მუხლისაგან. ხელშეკრულებას თან ერთვოდა ზიცის ტექსტი, რომელიც ერეკლეს უნდა დაედო რუსეთის ერთგულების დასადასტურებლად. ხელშეკრულება იწყებოდა პრეამბულით, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ძველთაგან რუსეთის იმპერია ეხმარებოდა და იცავდა ერთმორწმუნე ქართველ ხალხს და რომ რუსეთი მიზნად ისახავდა გათავისუფლებულიყო საქართველო სხვა ქვეყნების დამოკიდებულებისაგან. აქვე აღნიშნული იყო, რომ ერეკლე სთხოვდა რუსეთის მეფეს მფარველობაში შესვლას და ცნობდაიცი რუსეთის ხელმწიფის უზენაესობას.

- ქართლ-კახეთის მეფე დღეიდან უარს ამბობდა სხვა ქვეყნებითან დამოკიდებულებაზე და საქვეყნოდ აცხადებდა, რომ გარდა რუსეთისა, იგი არ აღიარებდა თავის თავზე არავის უმაღლესობას.
- რუსეთის იმპერატორი აღუთქვამდა ერეკლეს, რომ მფარველობას არ მოაკლებდა ქართლ-კახეთის სამეფოს, დაიცავდა მის ერთიანობას და შეეწეოდა მისი დაკარგული საზღვრების აღდგენაში.
- ერეკლე აღიარებდა რუსეთის იმპერატორის უმაღლეს ხელისუფლებას და კისრულობდა ვალდებულებას, რომ ტახტზე ასვლა ეცნობინებინა საიმპერატორო კარისათვის, ეთხოვა მისგან მეფედ დამტკიცება და სამეფო ნიშნები.
- ქართლ-კახეთის მეფე იზღუდებოდა საგარეო ურთოერთობებში. მას ეკრძალებოდა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის დამყარება რუსეთის რეზიდენტთან შეთანხმების დარეშე.
- რუსეთის სამეფო კართან ურთიერთობის მოსაგვარებლად ერეკლეს უნდა ჰყოლოდა თავისი რეზიდენტი.

- იმპერატორი ქართლ-სახეთის მეფეს პირდებოდა, რომ ქართველთა მტერი მისი მტერი იქნებოდა, მეფე ერეკლე და მისი შთამომავლები შეინარჩუნებდნენ სამეფო ტახტს, არ დაკარგავდნენ ტახტის მემკვიდრეობის გადაცემის წესს, არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო მმართველობისა თუ სამართალწარმოების საქმეებში.
- ერეკლე ვალდებულებას კისრულობდა, რომ მზად იყო დახმარებოდა რუსეთს თავისი ჯარით, დაეცვა რუსეთის ქვეშევრდომობა და აესრულებინა რუსი მოხელეების დავალებები.
- ქართლ-კახეთის კათალიკოსი რუსეთის სინოდის წევრი ხდებოდა.
- ქართველ თავადაზნაურობას უფლება ეძლეოდათ გადასახლებულიყვნენ რუსეთში ან თავისუფლად დაბრუნებულიყვნენ უკან.
- ვაჭრობის თავისუფლებას არეგულირებდა
- ხელშეკრულება იდებოდა სამუდამოდ და მასში ცვლილებების შეტანა დაიშვებოდა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების ძალაში შესვლის წესი. ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მასზე ხელი მოწერიდან ექვს თვეში.

26.დანაშაულის სუბიექტი(კოლექტიური პასუხისმგებლობის გარდა) (5 ქულა)

ქართული სამართლის მიხედვით,დანაშაულის სუბიექტის ერთ-ერთი მოთხოვნა იყო ქმედების ჩამდენის სათანადო ასაკი.ი.ჯავახიშვილის აზრით,იოვანე მმახველის მიერ დანაშაულის ჩადენაში 30 წლის ასაკიდან პასუხისმგებლობის დაწესება ქართულ სამართალს არ უნდა გაეზიარებინა,და ექვთიმე მთაწმინდელს 30 წლის ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაუსჯელობის ნაცვლად თარგმანში ჩაუწერია მსუბუქად დასჯა.დამნაშავის ასაკის შესახებ მეტი ცნობა არ გაგვაჩნია,გარდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 187-მუხლისა,სადაც მოცემულია დამნაშავის 10 წლიდან პასუხისმგებლობის საკითხი.10წლამდე ჩადენილი დანაშაული ითვლებოდა,როგორც ფათერაკი და ბავშვის მშობლებს უნდა გადაეხადათ სააქიმო ან სამარხი დაზარალებულისთვის.თუ პირი იყო შერაცხადი,ის ვერ იქნებოდა დანაშაულის სუბიექტი.შერაცხადობა გამოიხატება ტერმინებით:უმეცრებაი გონებისაი,ანუ ადამიანის ისეთი მდგომარეობა რომელიც ვერ საზღვრავს თავის ქმედებებს,და ფრიადი უძლურებაი გონებისასი,ანუ ფსიქიკური დაავადება,სულით ავადმყოფობა.ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 93-ე მუხლში საუბარია სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულზე,და ამ მუხლის თანახმად სიმთვარელში დანაშაულის ჩამდენი პირი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

27.თანამონაწილეობის ინსტიტუტი ძველ ქართულ სამართალში (5 ქულა)

ქართული სამართალი იცნობს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს,რომელშიც მონაწილეობდა რამდენიმე პირი.ესენია:

- **განმზრახი** - პირი,რომელიც სხვისი დახმარებით ცდილობდა ბოროტების განხორციელებას
- **შეზრახება** - ბოროტმოქმედთა შეთანხმება
- **თანამზრახველი ან თანაგანზრახი** - შეზრახების თითოეული მონაწილე
- **განზრახვის თანამოწმე** - პირი,რომელიც მოგვიანებით შეურთდა თანამზრახველებს
- **მიმდგომი ან თანაშემდგომი** - განზრახვის თანამოწმე,რომელიც მიიღებდა დანაშაულში მონაწილეობას
- **თანაშემწე** - თანამოქმედი,პირი,რომელიც დამნაშავესთან ერთად ჩადის დანაშაულს
- ძალისმცემელი - პირი,რომელიც არ არის ბოროტმოქმედების უშუალო მონაწილე,მაგრამ რაღაც საშუალებებს აძლევს მათ დანაშაულის ჩადენაში
- **შინათგამცემელი** - პირი,რომელიც ბოროტმოქმედებს ეხმარება შინაური საიდუმლოს გამჟღავნებით

28.სასჯელის მიზნები ძველქართულ სამართალში (5 ქულა)

დამნაშავის დასჯის დროს სასჯელი მიზანი იყო მისი ზნეობრივი გამოსწორება.ამ თვალსაზრისზე იდგა ექვთიმე მთაწმინდელი,რომელიც გამოსწორებულ პატიმრებს,რომელთაც წინანდელი დანაშაულის მსგავსი აღარაფერი ემჩნეოდათ,ნუგეშს ცემდა და ასაჩუქრებდა მათ.სასჯელის მეორე მიზანს,როგორც საეკლესიო ისე საერო სამართალში წარმოადგენდა დამნაშავე პირთა მიმართ ხორციელი და ფიზიკური ვნების მიყენება.ამ სახის სასჯელები გამოიყენებოდა იმ ბოროტმოქმედთა მიმართ,რომელთა გამოსწორებაც ჰუმანური გზებით ვერ ხერხდებოდა.

თუ დამნაშავეს დანაშაულისადმი მიდრეკილება ჰქონდა,მათი წვრთნა და გამოსწორება ხორციელი თუ სატანჯველი სასჯელებით ეფექტს არ იძლეოდა,ამიტომ ხდებოდა მათი ექსორია და გაძევება.ამ სასჯელის მიზანი იყო საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვა.სასჯელის მეოთხე მიზანი იყო,დანაშაულის ჩადენის წინასწარ აცილება,ანუ პრევენცია.პრევენციის შემუშავებულ ცნებას ვხვდებით პლატონის თხზულებებში,არისტოტელეს შრომებში და რომაულ მწერლობაში.

29.დამასახიჩრებელი და ტკივილის მიმყენებელი სასჯელები ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით (3 ქულა)

გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოს სასჯელთა სისტემაში შედიოდა ისეთ სასჯელები,როგორიცაა სხეულის დამაზიანებელი სასჯელები და ასომოკვეთა,დასაჭურისება,თვალთა დაწვა ანუ დაბრმავება,ენის,ხელისა თუ ფეხის მოჭრა.ასევე იყო ტკივილის მიმაყენებელი სასჯელები,რომლებიც ხორციელდებოდა ჯოხის ცემით,მათრახით,ტაჯგანაგითა და სხვა იარაღებით.მონსასტრებში გამოიყენებოდა მტკივნეული სასჯელები,მაგალითად იყო თასმით ცემა.,ბერს თასმას 30-დან 60-მდე ურტყამდნენ დანაშაულის სიმძმის მიხედვით.

30,თავისუფლების აღკვეთა ძველქართულ სამართალშ(როგორც მონღოლთა შემოსევამდე,ისე ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით) (3 ქულა)

ვინაიდან გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში უფრო იშვიათად გამოიყენებოდა სხეულის დამაზიანებელი სასჯელები,მათ ადგილს იჭერდა თავისუფლების აღკვეთა.სულხან-საბას განმარტებით არსებობდა სამი სახის საპყრობილე:

- **დილეგი** - საპყრობილის ის სახეა,სადაც ბორკილგაყრილი პატიმრები არიან მოთავსებულნი
- **საკანი** - საპყრობილის ქვედა სართული,ბნელი ადგილია
- **საპატიმრო** - არის საპყრობილე სახლი,სადაც დაკავებული პირი უჯაჭვოდ იმყოფება